

საზოგადოება / საქართველო

გარემოს დაცვის კანონი - ინდულგენცია თუ ამნისტია?

ბეჭდვა კომენტარი გაუზიარეთ:



ავტორი ნინო ხარაძე ტექსტის ზომა 23.03.2012

გარემოს დამცველი და სხვა 30-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი 23 მარტს პრეზიდენტის რეზიდენციასთან შეიკრიბა, რათა პრეზიდენტისთვის ვეტოს დადება მოეთხოვა პარლამენტის მიერ 20 მარტს "საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში" შეტანილ ცვლილებებზე. აღნიშნული ცვლილებები შეეხო "გარემოს დაცვის შესახებ" კანონსაც. არასამთავრობოების განცხადებით, განხორციელებული ცვლილებებით სახელმწიფო საშუალებას აძლევს კონკრეტულ პირებს გარკვეული კომპენსაციის სანაცვლოდ სერიოზული ზიანი მიაყენონ გარემოს, ამ პირთა მიერ ჩადენილი ყველა ქმედება კანონიერად ჩაითვლება და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მათი საქმიანობის შემოწმებაც შეუძლებელი იქნება. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ამბობენ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები კანონს არასწორად კითხულობენ.

Tweet 0

რეკომენდებულია 30 გაზავნა

0

Pin it

ამავე თემაზე

რატომ ხმება და ზიანდება ხეები? სკვერებში ხეების გაჩეხის შესახებ რა აშენდება მოსკოვის გამზირზე გაჩეხილი ფიჭვნარის ადგილას?

მულტიმედია

აუდიო გარემოს დაცვის კანონი - ინდულგენცია თუ ამნისტია?

მოისმინეთ პლეილისტი

იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული პირი და საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში შეთანხმებას დადებს, ამ პირის მიერ განხორციელებული ყველა ქმედება ჩაითვლება

კანონიერად, თუკი ის სახელმწიფოს გარკვეულ კომპენსაციას გადაუხდის; შეთანხმების დადების დღიდან პირს არ დაეკისრება სახელმწიფოს მიმართ არანაირი პასუხისმგებლობა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის გამო და ყველა მის მიერ ჩადენილი ქმედება ჩაითვლება კანონიერად. პირი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ თითქმის 100-მდე შემთხვევაში, - ასე კითხულობენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები გარემოს დაცვის შესახებ კანონში 20 მარტს შეტანილ ცვლილებებს, რომელიც სამი მოსმენით იქნა მიღებული, დაჩქარებული წესით. კანონში შესატანი ცვლილებები ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამინისტრომ მოამზადა, ინიციატორი კი საქართველოს მთავრობა იყო. "ეკოლოგიური სამართლის ცენტრის" იურისტი ნიკოლოზ მჭავანაძე, რომელიც ერთ-ერთია იმ არასამთავრობოთა წარმომადგენლებს შორის, ვინც

ამ ავტორის სხვა სტატიები:

პრემიერის ულტიმატუმი თუ მოქმედება დასწრებაზე?

გიგი უგულავა ისევ მერია და გიროსაც არ გადაიხდის

სასამართლოს ფოტო-ვიდეოკამერები დააკვირდებიან

„ნაციონალური მოძრაობა“ პარტნიორებს მიტინგზე ეპატიუება

ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესი დაიწყო

მეტი სტატია

ყველაზე პოპულარული

ყველაზე ხშირად წაკითხული

1. თვალის ახელა, როგორც გამარჯვების პირობა
2. დოსტოევსკი, უზომოდ
3. კოპპიტაცის და „ნაციონალური მოძრაობის“ დასასრული საქართველოში
4. არა ოკუპაციას!
5. ჩემი თავისუფლება

ყველაზე ხშირად კომენტირებული

ყველაზე ხშირად მოსმენილი

პრეზიდენტს კანონზე ვეტოს დადება მოსთხოვა, ამბობს:

” მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დაზიანება, მაღალმთიან რეგიონებში სასარგებლო წიაღისეულის, სასარგებლო წყლის და ნიადაგის მოხსნა და გაუვარგისება, მიწის მდგომარეობაზე უარყოფითი გავლენის მქონე ობიექტების მშენებლობა, - ეს ჩამონათვალი შორს წაგვიყვანდა, იმიტომ რომ ასამდე მუხლია, - ანუ ამ დანაშაულებებზე პასუხი არ მოეთხოვება პირს, რომელიც გააფორმებს შეთანხმებას ენერგეტიკის სამინისტროსთან, მხოლოდ კომპენსაციას გადაიხდის და როცა ამ კომპენსაციას გადაიხდის, მწვანე შუქი ენთება, რაც უნდა ის გააკეთოს.”

მანანა ქოჩლაძე, თავმჯდომარე ორგანიზაციისა ”მწვანე ალტერნატივა”, მიიჩნევს, რომ კანონში შეტანილი ცვლილებები სახელმწიფოს მხრიდან ინდულგენციაა იმ მეწარმეებისთვის, რომლებიც ხელშეკრულებას გააფორმებენ გარემოს გამოსაყენებლად, კანონის ამოქმედების შემთხვევაში კი განუზომელი ზიანი შეიძლება მიადგეს გარემოს:

”ეს არის ინდულგენცია გარკვეული მეწარმეებისთვის და მე ეჭვი მაქვს, რომ თუ პრეზიდენტმა ამას ხელი მოაწერა, ჩვენ ძალიან მალე - მომდევნო კვირაში -დავინახავთ მთელ რიგ საწარმოებს, რომლებთანაც ეს შეთანხმება გაფორმდა და მე არ მგონია, რომ ეს ის საწარმოებია, რომლებიც ასეთი ტიპის შეთანხმებებს საჭიროებენ.”

ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ნინო ენუქიძე კი ირწმუნება, რომ არასამთავრობოები კანონს არასწორად კითხულობენ და რომ ის მხოლოდ წარსულში ჩადენილ უკანონობებზე ვრცელდება, რომლის პატივაც დასაშვებია გახდება სახელმწიფოსთან შეთანხმების გზით, ანუ, როგორც ნინო ენუქიძე განმარტავს, კანონი მხოლოდ იმ ლიცენზიანტებს შეეხებათ, რომლებიც გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სფეროში აქამდეც მუშაობდნენ, მაგრამ მოუქნელი მონიტორინგის სისტემის გამო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს სჩადიოდნენ. კანონში შესული ცვლილებებით სწორედ ასეთ პირებს ეძლევათ საშუალება კომპენსაციის გზით საკუთარი უკანონობების გამოსწორებისა:

” წლების განმავლობაში დაგროვილი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობები, სანქციები, საურავები, ზიანი, რაც არის დამდგარი მათი ქმედების შედეგად, შესაძლებელია, რომ ამ ხელშეკრულების, ამ შეთანხმების საფუძველზე იქნეს გაწერილი და კომპენსაციის გადახდის გზით, წლების გადაანაწილების გზით, -შეიძლება 10 წელზე გადავუნაწილოთ, - იმ შემთხვევაში, თუ რაღაც ზიანი ტყეს მიაყენეს, დავავალოთ ახალი ტყის გაშენება. პირიქით, ეს არის ჰუმანური კანონი და ემსახურება იმას, რომ ბიზნესსაც ხელი შევუწყოთ, რომ ამ სანქციებით და საურავებით არ დავზარალოთ ეს წარმოებები, არამედ მივცეთ იმის საშუალება, რომ მათ მიერ ჩადენილი ესა თუ ის ქმედება გამოასწორონ. ეს არის ამ კანონის მიზანი.”

თუმცა არასამთავრობოები ნინო ენუქიძის ამ განმარტებას გაუგებრად მიიჩნევენ, რადგან, მათი განცხადებით, სამინისტროს საკმარისი ბერკეტები ჰქონდა ეკონტროლებინა კონკრეტული მეწარმეები, მათ შორის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების კანონის მეშვეობით. ”მწვანე ალტერნატივის” თავმჯდომარე მანანა ქოჩლაძე სახელმწიფოს ხელში არსებულ კიდევ ერთ ისეთ ინსტრუმენტს ასახელებს, როგორც არის გარემოს დაცვის ინსპექცია, რომლის ფუნქციებში არა მხოლოდ მეწარმეებისთვის ჯარიმების დაწესება შედიოდა, არამედ საურავების გადახდის გრაფიკის შედგენაც. გამომდინარე აქედან, განმარტება, რომ

კანონი ამნისტიაა წარსულში ჩადენილ დანაშაულებებზე, მისაღები არ არის, მით უფრო, რომ ასეთი რამ კანონში არსად წერია, ამბობენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

თუმცა ნინო ენუქიძე დაბეჯითებით იმეორებს, რომ კანონში ასეთი განმარტება დევს:

” პირდაპირ და ცალსახად წერია ამ კანონში, რომ ეს შეთანხმება მხოლოდ და მხოლოდ წარსულ პერიოდს ეხება და ის უკვე განხორციელებულ ქმედებებზე შეიძლება დაიდოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში.”

იმას, რომ კანონი სხვადასხვაგვარი წაკითხვის საშუალებას იძლევა, მანანა ქოჩლამეს უმყარებს რწმენას, რომ კანონი ცუდია და ის აუცილებლად შესაცვლელია. აქვე ვთქვათ, რომ საქართველოს პრეზიდენტს კანონზე ვეტოს დასადებად ათდღიანი ვადა აქვს. თუ ის ამ უფლებას არ გამოიყენებს, ”ეკოლოგიური სამართლის ცენტრი” საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართავს.

ბეჭდვა კომენტარი გაუზიარეთ:

Tweet 0 რეკომენდებული 30 გაგზავნა 0 Pin it

ეს ფორუმი დაიხურა

კომენტარები

ამ ფორუმში კომენტარი არ არის. დაწერეთ პირველი კომენტარი

პროდუქტები და ფუნქციები პოდაკასტი RSS მეილის გამოწერა

მობილური

მთავარი	კონტაქტი და დახმარება	ბმულები	სოციალური ქსელები
ახალი ამბები	დაგვიკავშირდით	RFE/RL	Del.icio.us
პოლიტიკა	ჩვენს შესახებ	ამერიკის ხმა	Digg
ეკონომიკა	ჩვენი პოლიტიკა	გაერო	Facebook
საზოგადოება	ტექნიკური ინფორმაცია	ეუთო	Google Bookmarks
კულტურა	რადიოზე	ჰიუმან რაიტს უოჩი	Newsvine
ბლოგები	როგორ მოვისმინოთ	საერთაშორისო ამნისტია	Reddit
პრესა	საიტის რუკა	რეპორტიორები	StumbleUpon
TV	გადაცემების განრიგი	უსაზღვრებოდ	Twitter
რუბრიკები	რადიო თავისუფლების მედიასკოლა	forum.ge	

რადიო "თავისუფლება" RFE/RL, Inc. ყველა უფლება დაცულია